

# საკლუბო ჩემპიონატი ძიუდოში

## შეჯიბრების ჩატარების სტრუქტურა და განვითარების სტრატეგია

### 1. შინაარსი

საკლუბო ჩემპიონატს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ძიუდოს პოპულარიზაციის, არამედ ფედერაციის სრულყოფილი და გამართული მუშაობის საკითხში. ფაქტობრივად, ამ სისტემის შემოღებამ წერტილი დაუსვა არაკვალიფიცირებული, სხვადასხვა ჯგუფების მიერ ადვილად მართვადი ხალხის ჩამოშორებას ფედერაციის მმართველობიდან და წარმომადგენლობითი უფლებებით აღჭურვა ის პირები (მწვრთნელები), რომელნიც თავიანთი ენთუზიაზმით ქმნიდნენ ძიუდოს. ფედერაციამ შეიმუშავა ისეთი სისტემა, რომ ყველა მწვრთნელს ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს ამ უაღრესად მნიშვნელოვან შეჯიბრში. სწორედ ეს მიდგომა აძლევს მას სტიმულს მოიძიოს, რაც შეიძლება მეტი სპორტსმენი და მეტი ენთუზიაზმით მოეკიდოს სამწვრთნელო პროცესს, რამეთუ სრულად წარმოდგენილი გუნდის გარეშე მისი კლუბი ვერ მიიღებს მონაწილეობას. აღსანიშნავია ის, რომ თითოეულ კლუბს ეკრძალება სხვა კლუბის თუ ცალკეული მწვრთნელის აღზრდილი სპორტსმენის გამოყვანა, რაც კიდევ ერთი ბერკეტია იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონკრეტულმა მწვრთნელმა არ დაიშუროს ძალისხმევა მისი კლუბის წევრების რაოდენობის გაზრდის, რაც პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული სპორტის ამ სახეობის მასობრიობის გაზრდასთან. მნიშვნელოვანი პრინციპია ისიც, რომ ერთ სპორტულ დარბაზში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ერთი კლუბი, რა დროსაც იქ მოღვაწე მწვრთნელები და მათი აღსაზრდელები შეიძლება გაერთიანდნენ ამ ერთი სახელის ქვეშ.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ის, რომ უკვე 2015 წლის საკლუბო ჩემპიონატში წარმოდგენილი იყო 36 კლუბი, რაც მართლაც რომ უნიკალური შედეგია. ინტერესი საკლუბო სისტემის მიმართ დღითიდღე მატულობს, რაც ჩვენის მხრივ მოითხოვს ახალი მიდგომებით და იდეებით გამდიდრებას, რისი კარგად დაგეგმის და განხორციელების შემთხვევაში საგრძნობლად გაზრდება ახალგაზრდების ჩართულობა სპორტულ ცხოვრებაში.

### 2. საკლუბო ჩემპიონატში მონაწილეობის პრინციპები

- განაცხადი მონაწილეობის შესახებ

- კლუბი რომელსაც სურს მონაწილეობის მიღება საკლუბო ჩემპიონატში შეჯიბრების ჩატარებამდე ორი კვირით ადრე აკეთებს განაცხადს ფედერაციაში. ეს ვადა საჭიროა შესაძლო ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

- **სავალდებულო დოკუმენტაცია:**

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან კლუბის რეგისტრაციის შესახებ.
2. საბანკო რეკვიზიტები.
3. კლუბში მოვარჯიშე სპორტსმენთა და მწვრთნელთა გაფართოებული სია.
4. კონკრეტულ ჩემპიონატში მონაწილე სპორტსმენთა განაცხადი (მაქსიმუმ 10 სპორტსმენი).

### 3. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

შეჯიბრება ტარდება გუნდური პრინციპის მიხედვით 5/5

საკვალიფიკაციო ეტაპი ტარდება გაზაფხულზე, ხოლო ფინალური ეტაპი შემოდგომაზე.

საკვალიფიკაციო ეტაპზე მიღწეული შედეგიდან გამომდინარე ფინალური ეტაპზე გუნდები ასპარეზობენ ორ სხვადასხვა შეჯიბრში. კერძოდ: **ოქროს ლიგა და პირველი ლიგა.**

ოქროს ლიგაზე მონაწილეობას იღებს საკვალიფიკაციო ეტაპზე გასული საუკეთესო შედეგის მქონე 8 კლუბი, ხოლო პირველ ლიგაზე ყველა სხვა დანარჩენი.

### 4. საპრიზო ფონდი

საპრიზო ფონდი ოქროს ლიგაში მონაწილე გუნდებისთვის განისაზღვრება 210 000 (ორას ათი ათასი) ლარით, რაც ნაწილდება შემდეგი პრინციპის მიხედვით:

- 1 ადგილი - 50000
- 2 ადგილი - 40000
- 3 ადგილი - 30000
- 3 ადგილი - 30000
- 5 ადგილი - 20000
- 5 ადგილი - 20000
- 7 ადგილი - 10000
- 7 ადგილი - 10000

- საპრიზო ფონდი პირველ ლიგაში მონაწილე გუნდებისთვის შეადგენს 16 000 (თექვსმეტი ათასი) ლარს, რომელიც ნაწილდება შემდეგი პრინციპის მიხედვით:

- 1 ადგილი - 6000
- 2 ადგილი- 4000
- 3 ადგილი- 2000
- 3 ადგილი- 2000
- 5 ადგილი- 1000
- 5 ადგილი- 1000

## 5. შეჯიბრების ორგანიზება

შეჯიბრების ორგანიზებას ყველა ეტაპზე ახორციელებს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით.

შეჯიბრებაში მონაწილეობის წესსა და პირობებს ადგენს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია, როგორც საშეჯიბრო, ასევე ცალკე მიღებული დებულებებით.

რაიმე პირობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო კლუბი შესაძლებელია მოიხსნას შეჯიბრიდან ან გაუუქმდეს უკვე მიღწეული შედეგი.

## 6. შეჯიბრიდან მიღებული ფინანსების განკარგვის წესი

- საპრიზო თანხების რაციონალურად განკარგვის მიზნით კლუბებს ევალებათ ამ ჩემპიონატიდან მიღებული შემოსავლების ხარჯვა შემდეგი პრინციპის მიხედვით:
- არაუმეტეს საერთო თანხის 25% - კლუბის მწვრთნელ(ებ)ის ხელფასები.
- საერთო თანხის 40% - შეჯიბრში მონაწილე სპორტსმენთა სტიპენდიერება.
- საერთო თანხის 25% - კლუბის განვითარებისთვის - სავარჯიშო ინვენტარი, კომონოები, სასწავლო შეკრების მოწყობა.  
ფედერაციასთან შეთანხმებით სხვა აქტივობა, რაც ხელს შეუწყობს კლუბის განვითარებას.
- საერთო თანხის 10% - საკუთარი შეხედულებით განკარგვა, გარდა მწვრთნელთა და ადმინისტრაციის პრემირებისა.
- დაუშვებელია კლუბის მიერ სპორტსმენისთვის განკუთვნილი სტიპენდიის ერთჯერადად ჩარიცხვა. თანხა უნდა განაწილდეს მინიმუმ 6 თვის განმავლობაში.
- ზემოაღნიშნული წესი ვრცელდება მხოლოდ „ოქროს ლიგაში“ მონაწილე კლუბებზე.